ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №8

ქ. თბილისი 20.07.2016

სხდომას ესწრებოდნენ:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ირინა აბულაძე - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ ფხალაძე - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის წამყვანი სპეციალისტი, საბჭოს მდივანი; (შემდგომში - მდივანი)
რევაზ აფხაზავა - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის, მართვის და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტის (EPPM) აღმასრულებელი დირექტორი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის" პროგრამების მენეჯერი;
ხათუნა ბარაბაძე - სსიპ - თბილისის პირველი ექსპერიმენტული სკოლის დირექტორი;
მარინა უშვერიძე - PH International სამოქალაქო განათლების პროგრამების ხელმძღვანელი;
ნინო კოდუა - სსიპ - ქალაქ თბილისის #55 საჯარო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი;
ქეთევან ჭკუასელი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლაშა მარგიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
თამთა კობახიძე - განვითარების სამმართველოს უფროსი;
ქეთევან ინანაშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი;

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

ნინო ზაქარეიშვილი - შპს იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერიის დირექტორი;
ეკა ჩერქეზიშვილი - შპს იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერიის ხარისხის მართვის მენეჯერი;
ნანი ფაღავა - შპს სკოლა-ლიცეუმ მასტერკლასის დირექტორი;
ინდირა ანანიძე - შპს სკოლა-ლიცეუმ მასტერკლასის დირექტორის მოადგილე;
ნათია ნიკაჭაძე - შპს სკოლა-ლიცეუმ მასტერკლასის დამფუძნებელი;
ომარ მიქელაძე - შპს თაობის დირექტორი;
ქეთევან კარანაძე - შპს თაობის დირექტორის მოადგილე;

თუთა ნარმანია - შპს მეექვსე საავტორო სკოლის დირექტორის მოადგილე;
ნინო რამიშვილი - შპს მეექვსე საავტორო სკოლის დამფუძნებელი;
დავით კახნიაშვილი - შპს თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის დირექტორი;
იზა იოსელიანი - შპს თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის ხარისხის მართვის მენეჯერი;
ზაზა კვინტრაძე - შპს თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის დირექტორის მოადგილე;
ეპისკოპოსი დიმიტრი - ა(ა)იპ - წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატის დირექტორი;
თეა სხირტლაძე -ა(ა)იპ - წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატის აღმასრულებელი დირექტორი;
მანანა გიორგაძე - შპს ბრიტანული ცენტრის წმინდა ნიკოლოზის სახელობის სკოლის დირექტორი;
ორბელ კეკელია - შპს ბრიტანული ცენტრის წმინდა ნიკოლოზის სახელობის სკოლის ფინანსური მენეჯერი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):

ნოდარ ანგურიძე;
ნელი ნასყიდაშვილი;
მიხეილ ტეფნაძე;
ქეთევან ბოტკოველი;
ლიანა ჩარკვიანი;
ნინო ბალანჩივაძე;
დავით ჭეიშვილი;
ლიანა კობესაშვილი;
ნინო ფეტვიაშვილი;
მაკა ტუკვაძე;
ზურაბ ჩხიკვაძე.

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:40 საათზე. სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე მიუთითა, რომლის მიხედვითაც საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს სკოლა-ლიცეუმ მასტერკლასის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს თაობის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს მეექვსე საავტორო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. შპს თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმი მწიგნობართუხუცესის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. ა(ა)იპ - წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატისათვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
7. შპს ბრიტანული ცენტრის წმინდა ნიკოლოზის სახელობის სკოლისათვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ დაფიქსირდა, შესაბამისად, საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. შპს იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინეს ნინო ბალანჩივაძემ და ნელი ნასყიდაშვილმა. ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დასკვნა საბოლოო ჯამში დადებითი იყო, თუმცა დააფიქსირა ორი რეკომენდაცია. კერძოდ, პირველ კლასში მაღალ საათობრივ დატვირთვასთან და დაწყებით საფეხურზე ტესტის ტიპი შემაჯამებელ დავალებასთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრი, ხათუნა ბარაბაძე დაინტერესდა, რამდენად მოდიოდა დამატებითი გაკვეთილები თანხვედრაში ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სავალდებულო 6-7 გავეთილის შემდეგ, განეკუთვნებოდა დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. დაწესებულება აღნიშნულ პროგრამას მრავალი წლინ განმავლობაში ახორციელებდა.

საბჭოს წევრმა, რევაზ აფხაზავამ აღნიშნა, რომ მიუხედავად სკოლაში არსებული მდგომარეობისა, დაწესებულება ვალდებული იყო დაეკმაყოფილებინა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა და დადგენილიყო ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა. მიუხედავად ამისა დაწესებულება დაწყებით საფეხურზე იყენებდა განმსაზღვველ შეფასებას, რაც არ მოდიოდა თანხვედრაში ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საქმე ეხებოდა დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.

სკოლის წარმომადგენლის თქმით, სკოლაში ამ დროსითვის სწავლობდა 263 მოსწავლე. საგაკვეთილო პროცესი იყოფოდა ორ ნაწილად, პირველ ნაწილში ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნები ერთიანდებოდა, ხოლოდ დანარჩენი დრო ხმარდებოდა დამატებით აქტივობებს, გახანგრძლივებულ მუშაობას, ყოველივე ექვემდებარებოდა და ითვალისწინებდა მოსწავლეთა ემოციურ და ფიზიკურ თავისებურებებს.

ექსპერეტმა საბჭოს წევრებს წარუდგინეს მოსწავლეეთან და მშობლებთან განხორციელებული შეხვედრის შედეგები, მათი შეფასებით სკოლის მხრიდან მაღალი იყო ჩართულობა და შეთავაზებული სერვისებით კმაყოფილება.

საბჭოს წევრებმა დაწესებულების წარმომადგენლებს სთხოვეს გაეთვალისწინებინა ექსპერტთა რეკომენდაციები. დაწესებულების წარმომადგენლებმა მოითხოვეს მოსწავლეთა ზღვრული ოდენობის 325 -ით განსაზღვა და ვინაიდან დაწესებულებას ავტორიზაცია მინიჭებული ჰქონდა საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 4 აგვისტოს #122 გადაწყვეტილებით, მოითხოვა რომ საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ამოქმედებულიყო ამავე დროიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერიისათვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 325-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერიას (საიდენტიფიკაციო კოდი:211358449) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 325-ით.

2. შპს სკოლა-ლიცეუმ მასტერკლასის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინეს ექსპერტებმა დავით ჭეიშვილმა და ქეთევან ბოტკოველმა მათ აღნიშნეს, რომ დასკვნაში ხარვეზები არ იყო დაფიქსირებული. ექსპერტების თქმით, საგანმანათლებლო დაწესებულება წარმატებით ფუნქციონირებდა, მიუხედავად ამისა, სკოლის წარმომადგენლებს გაცნობიერებული ჰქონდათ ის საკითხები, რომელთა გაუმჯობესება მნიშვნელოვანი იყო მომავალი წლისთვის. ერთ-ერთი მათგანს კი მშობელთა ჩართულობა და მათი ინფორმულობის დონის გაზრდა წარმოადგენდა.

საბჭოს წევრებმა გამოთქვეს დაინტერესება სკოლის შენობასთან დაკავშირებით, რომელიც იყო შვიდსართულიანი. სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ დაწესებულებაში მთლიანად იყო დაცული უსაფრთხოების ნომები, გარდა ამისა, I და II სართული ადაპტირებული იყო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისათვის. მან ასევე დაამატა, რომ სკოლას ავტორიზაცია მინიჭებული ჰქონდა საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 18 აგვისტოს #148 გადაწყვეტილებით. შესაბამისად, მან ითხოვა ახალი ავტორიზაციის გადაწყვეტილებაც ამავე თარიღიდან ამოქმედებულიყო.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სკოლა-ლიცეუმ მასტერკლასისათვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობის 840-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს სკოლა-ლიცეუმ მასტერკლასს (ს/კ:245546734) 18 აგვისტოდან 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 840-ით

3. შპს თაობის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარუდგინა საბჭოს წევრებს წარუდგინეს ექსპერტებმა - ლიანა კობესაშვილმა და ქეთევან ბოტკოველმა. ჯგუფის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო სკოლის მისია და განაცხადა, რომ სკოლა სრული წარმატებით ახერხებდა დასახული მიზნების მიღწევას. გარდა ამისა, საგანმანათლებლო დაწესებულებაში სრულად მოწესრიგებულია ადაპტირებული გარემო, რაც უზრუნველყოფდა რომ შეუფერხებლად წარმართულიყო სასწავლო პროცესი. ქეთევან ბოტკოველმა აღნიშნა, რომ დასკვნაში ხარვეზები დაფიქსირებული არ ყოფილა.

საბჭოს წევრი, ხათუნა ბარაბაძე დაინტერესდა დაწესებულების პროზიციით ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის დანერგვასთან დაკავშირებით, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სკოლა დაინტერესებული იყო მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობით. სწორედ ამიტომ, იგეგმებოდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის ამოქმედება. კონკრეტულად კი „კრიტიკული მეგობრის" ჯგუფების შექმნა, რომლებიც ურთიერთ თანამშრომლობითა და პროფესიული დიალოგით შექმნიან განვითარებაზე ორიენტირებულ გარემოს. მან ასევე დაამატა, რომ სურდა მოსწავლეთა კონტიგენტი განსაზღვრულიყო 272-ით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თაობისათვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობის 272-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს თაობას (ს/კ:445474415) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 272-ით.

4. შპს მეექვსე საავტორო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინეს ნინო ფეტვიაშვილმა და ლიანა ჩარკვიანმა. ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს განუცხადა, ხარვეზები დაფიქსირებული არ ყოფილა და აღნიშნა, რომ ვინაიდან სასკოლო სასწავლო გეგმა ყოველწლიურად მტკიცდებოდა, დაწესებულებას განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან საგანმანათლებლო პროგრამის ეროვნული სასწავლო გეგმისგან განსხვავებული წესით განხორციელების ნებართვა სკოლას გააჩნდა.

სკოლის წარმომადგნელმა განმარტა, რომ სკოლა თანამშრომლობდა გოეთეს ინსტიტუტთან, უცხო ენის გამოცდას სწორედ აღნიშნული დაწესებულება უზრუნველყოფდა. გარდა ამისა, მეექვსე საავტორო სკოლა ჩართული იყო მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში, თუმცა ორიენტირებული იყო შეემუშავებინა თვითრეგულაციის ინსტრუმენტი, რაც უფრო მეტად უზრუნველყოფდა სასწავლო პროცესის გაუმჯობესებასა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობას.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, თუ რამდენით მოსწავლეების ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ 660 მოსწავლის მიღება სურდათ. მან ასევე აღნიშნა, რომ მეექვსე საავტორო სკოლას ავტორიზაცია მიენიჭა საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 15 სექტემბრის #274 გადაწყვეტილებით, შესაბამისად სასურველი იყო ახალი ავტორიზაციის გადაწყვეტილებაც ამავე თარიღიდან ამოქმედებულიყო.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მეექვსე საავტორო სკოლისათვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 650-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს მეექვსე საავტორო სკოლას (ს/კ:404405443) 2016 წლის 15 სექტემბრიდან 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 650-ით.

5. შპს თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმი მწიგნობართუხუცესის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინეს ექსპერტებმა მიხეილ ტეფნაძემ და მაკა ტუკვაძემ. მათ აღნიშნეს, რომ დასკვნაში ხარვეზები არ იყო დაფიქსირებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს განუცხადა, რომ სკოლაში რიგი საგნებისა ეროვნული სასწავლო გეგმისგან განსხვავებული წესით ისწავლებოდა, თუმცა დაწესებულებას განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან საგანმანათლებლო პროგრამის ეროვნული სასწავლო გეგმისგან განსხვავებული წესით განხორციელების ნებართვა გააჩნდა. ექსპერტმა საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია საგანმანათლებლო დაწესებულებაში უფასო სექტორის არსებობის შესახებ, რომელიც განკუთვნილი იყო სოციალურად დაუცველი მოსწავლეებისთვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მიუხედავად რესურსის არსებობისა სურდა მოსწავლეთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრა 1886-ით. ამასთანავე დაწესებულებას ავტორიზავია მინიჭებული ჰქონდა საგანმანათებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 12 აგვისტოს #134 გადაწყვეტილებით, შესაბამისად ახალი გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღადაც ანალოგიური განსაზღვრულიყო.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმი მწიგნობართუხუცესის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ზღვრული ოდენობის 1886-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესს (ს/კ:211360141) 2016 წლის 12 აგვისტოდან 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1886-ით.

6. ა(ა)იპ - წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატისათვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინეს ექსპერტებმა - ნოდარ ანგურიძემ და ლიანა ჩარკვიანმა. მათ აღნიშნეს, რომ დასკვნაში ხარვეზები დაფიქსირებული არ ყოფილა და დაწესებულებას გააჩნდა რესურსი მიეღო 100 მოსწავლე. დაწესებულების წარმომადგენლებდა დაადასტურეს აღნიშნული და გაანცხადეს, რომ სკოლა სამომავლოდაც გეგმავდა გაფართოებას და ზოგადი განათლების შემდგომი საფეხურების დამატებას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატისათვის მოსწავლეთა ზღვრული ადგილების 100-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 33[1] მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატს (ს/კ:428518017) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 100-ით.

7. შპს ბრიტანული ცენტრის წმინდა ნიკოლოზის სახელობის სკოლისათვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინეს ექსპერტებმა - ნოდარ ანგურიძემ და ზურაბ ჩხიკვაძემ. მათ აღნიშნეს, რომ დასკვნაში ხარვეზები დაფიქსირებული არ ყოფილა და დაწესებულებას გააჩნდა რესურსი მიეღო 350 მოსწავლე. სკოლის წარმომადგენლის თქმით, საგანმანათლებლო დაწესებულებაში ამ დროისთვის მიმდინარეობდა ადაპტირებული გარემოს უზრუნველყოფა. გარდა ამისა, შენობა აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბრიტანული ცენტრის წმინდა ნიკოლოზის სახელობის სკოლისათვის მოსწავლეთა ზღვრული ადგილების 350-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 33[1] მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს ბრიტანული ცენტრის წმინდა ნიკოლოზის სახელობის სკოლას (ს/კ:401972228) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 350-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭო დახურულად გამოცხადდა 18 საათსა და 20 წუთზე.

თავმჯდომარე
ირინა აბულაძე

მდივანი
თამარ ფხალაძე